

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის 2018 წლის ანგარიში

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა (შემდგომში - სამოქმედო გეგმა) 2018 წელს ითვალისწინებდა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) პასუხისმგებლობას მიკუთვნებულ ერთ აქტივობას, ბიუჯეტით 2,050,000 ლარი. ფაქტიურმა შესრულებამ 31.12.2018 წლის მდგომარეობით შეადგინა 878,537 ლარი.

2018 წლისთვის სააგენტოს პასუხისმგებლობას მიკუთვნებული აქტივობების ძირითადი მაჩვენებლები:

ამოცანა	აქტივობა	საპროგნოზო ბიუჯეტი 2018 წელი (ლარი)	ფაქტიური შესრულება 31.12.2018 წლის მდგომარეობით (ლარი)
პრიორიტეტული სფერო 1: ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა			
ამოცანა 1. ცნობიერების ამაღლება ინოვაციების და მეწარმეობის მიმართულებით. ასევე, თანამშრომლობის წახალისება უნარ-ჩვევების განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობით (განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალებისათვის).	2.1.1. ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის ფორმირება და განვითარება (IBRD)	2,050,000	878,537
სულ		2,050,000	878,537

ევროკავშირსა და საქართველოს შორის 04.12.2017 წლის დაფინანსების ხელშეკრულებით (ევროპის სამეზობლო პროგრამა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD Georgia III) გათვალისწინებული საბიუჯეტო დახმარების მეორე ტრანშის ცვლადი კომპონენტის 1.2.1 ინდიკატორის შესრულების მიზნით, სამოქმედო გეგმის ფარგლებში:

- მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) განვითარებისთვის გათვალისწინებულია ერთი აქტივობა (2.1.1) საერთო ბიუჯეტით 2,050,000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 31.12.2018 წლის მდგომარეობით შეადგინა 878,537 ლარი.

დეტალური ინფორმაცია სააგენტოს პასუხისმგებლობას მიკუთვნებული აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებით მოცემულია „საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის 2018 წლის შესრულების ანგარიშში“.

2017-2018 წლებში, სოფლად, საჯარო ფინანსებით მხარდაჭერილია 650 (50-2017 წელს, ხოლო 600 – 2018 წელს) მცირე და საშუალო საწარმო (SME).

„2017-2018 წლებში, სოფლად, საჯარო ფინანსებით, მეწარმეობის უნარები აიმაღლა სულ მცირე 1000-მა ბენეფიციარმა, საიდანაც სულ მცირე 70-მა განავითარა მისი ბიზნესი და სულ მცირე 15 -მა შექმნა/დააარსა ახალი მცირე და საშუალო საწარმო (SME)“.